ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ01. 01233134**

თარიღი:**09/11/2023**

ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე მშენებარე თხევადი გაზით გასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.16.003.005) არსებული ავტოგასამართი სადგურის ავტოგასამართი კომპლექსის ფუნქციით რეკონსტრქუციის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01233073705-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე მშენებარე თხევადი გაზით გასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.16.003.005) არსებული ავტოგასამართი სადგურის ავტოგასამართი კომპლექსის ფუნქციით რეკონსტრქუციის მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01233073705-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01233133**
თარიღი: **09/11/2023**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01233073705-67
განცხადების თარიღი:	03/11/2023
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.19.16.003.005
მისამართი :	ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილზე მშენებარე თხევადი გაზით გასამართი სადგურის მიმდებარედ
მესაკუთრეები :	შპს ნეოგაზი,
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	ლევან ინასარიძე
პირადი ნომერი :	01008007119
მისამართი :	საქართველო, ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა, N 10, ბინა 99
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	ნუგზარ ნათობაიძე
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	ავტოგასამართი კომპლექსი
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	600.3
მოთხოვნის შინაარსი :	

მოთხოვნის ტექსტი :	მოგესალმებით. გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი მასალები და 27/05/2016 წლის 14-39 დადგენილების შესაბამისად, საგამონაკლისოდ დასაშვებად ცნოთ საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ში (სსზ-2) მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული აირგასამართი სადგურის ტერიტორიის გამოყენება რეკონსტრუქციისათვის (შემდგომში ავტოგასამართი კომპლექსი).
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	საკვლევი არეალი მდებარეობს კახეთის გზატკეცილზე მშენებარე თხევადი გაზით გასამართი სადგურის მიმდებარედ (ს/გ 01.19.16.003.005). აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, წლების განმავლობაში ფუნქციონირებს გაზგასამართი სადგური. 2020 წლის 26 აგვისტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებით 5080230, მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენის მოთხოვნაზე გვაცნობეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა, რადგან ტერიტორიაზე დასაზუსტებელია არსებული ფუნქციური ზონები. (იხ. ფურცელი 04.) თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 15 მარტს 39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ტერიტორიაზე ვრცელდება ორი ფუნქციური ზონა - საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). საიდანაც საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) შეადგენდა 67,15% და სარეკრეაციო ზონა (რზ-1) შესაბამისად 32,85%-ს. ტერიტორიაზე გავრცელებული ფუნქციური ზონების პროცენტულობიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო რეკონსტრუქციის განხორციელება. გამომდინარე აქედან 2023 წლის 7 ივნისს N01231581-67 განცხადებით მოვითხოვეთ ფუნქციური ზონის ცვლილება, რომელიც დაკმაყოფილდა 2023 წლის 31 ივლისის N16-01232121286 ბრძანებით (საფუძველი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 4 ივლისის N23.993.112 განკარგულება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ივლისის N28-58 დადგენილება). იხილეთ თანდართულ მასალებში. აღნიშნული ფუნქციური ცვლილების შედეგად ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 – 77,65% და სარეკრეაციო ზონა 1 – 22,35%. რაც საკმარისია საპროექტო ტერიტორიაზე რეკონსტრუქციის წარმოებისათვის. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი გამოყენება არ შეესაბამება მასზე გავრცელებულ ფუნქციურ ზონას, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ს, გვსურს ამავე ფუნქციური ზონის საგამონაკლისოდ დასაშვები სახეობის მოთხოვნა. რადგან აღნიშნულ ზონაში საგამონაკლისოდ, სპეციალური ზონალური შეთანხმების შედეგად დასაშვებია, ავტოგასამართი კომპლექსის, აირ გასამართი სადგურის ან აირ სავსები საკომპრესორო სადგურის განთავსება. აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილი რეკონსტრუქციით გათვალისწინებულია: ერთიანი ფარდულის ქვეშ მოქცეული სამი აირმარიგებელი სვეტიდან ერთის - კახეთის გზატკეცილის მხარეს მდებარე აირმარიგებელი სვეტის ჩანაცვლება ნავთობპროდუქტების მარიგებელი სვეტით (ბენზინისა და დიზელის საწვავისათვის), ასევე მოეწყობა რკ.ბეტონის სარკოფაგი მასში ნავთობპროდუქტების სამარაგო ავზების განთავსებით. საპროექტო არეალის მიმდებარე ტერიტორიებზე, დომინირებს საზოგადებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ფუნქციურად ძირითადად განლაგებულია ავტომომსახურების ცენტრები და სასაწყობე მეურნეობები.
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	ავტოგასამართი სადგური
	ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ N01.19.16.003.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით, ნაწილობრივ ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ნაწილობრივ სარეკრეაციო ზონა-1(რზ-1). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად თუ მიწის ნაკვეთი ხვდება ერთზე მეტი კონკრეტული ფუნქციური ზონის მოქმედების არეალში, მაშინ მისი სამშენებლოდ განვითარების განსაზღვრისას არც ერთი ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი ზონის ფართობი შეადგენს არანაკლებ მიწის ნაკვეთის ¾-ს, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ამ ზონისთვის განსაზღვრული მოთხოვნები, რზ-1-ის რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული რეგულირება არ ვრცელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში სამშენებლოდ განვითარებისას. განსახილველ შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განიხილება სსზ-2 პირობებით, რზ-1-ის რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) არის მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ- საქმიანი

	ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გგ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "რ" ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: საზოგადოებრივ-საქმიანიზონა-2 (სსზ-2) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1=0.5*/0.7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2=4.6 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3=0.2/0.3* მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 700 მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 20 მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 30
გადაწყვეტილების დასაბუთება :	** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებლრი ფუნქცია აღემატება 25 %-ს. ამავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტი ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად, **სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)** – სარეკრეაციო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში ან მის გარეთ არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა მსგავსი, გარდა სხვა სარეკრეაციო ზონებში მოქცეულისა. ხოლო მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად, **რზ-1** — დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკებისა. ასევე, დასაშვებია ტრანსპორტის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობა. საკვლევი არეალი მდებარეობს კახეთის გზატკეცილზე და ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონის მიხედვით ნაწილობრივ მდებარეობს გეგმარებით კარკასზე (გკ), ნაწილობრივ პერიფერიული ზონაში (პზ) – დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი; საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს გაზგასამართი სადგური. წარმოდგენილი წინადადებით იგეგმება არსებული სადგურის რეკონსტრუქცია, რაც განმარტებითი ბარათის თანახმად ითვალისწინებს ერთიანი ფარდულის ქვეშ მოქცეული სამი აირმარიგებელი სვეტიდან ერთის-კახეთის გზატკეცილის მხარეს მდებარე აირმარიგებელი სვეტის ჩანაცვლება ნავთობპროდუქტების მარიგებელი სვეტით (ბენზინისა და დიზელის საწვავისთვის), ასევე იგეგმება რკ.ბეტონის სარკოფაგის მოწყობა მასში ნავთობპროდუქტების სამარაგო ავზების განთავსებით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების N1 დანართით განსაზღვრულია ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობები და ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, მათ შორის არის საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) ავტოგასამართი სადგური. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის გამოყენების ისეთი სახეობის დაშვებაზე, რაც განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებით საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. ტერიტორიაზე შესვლა ხორციელდება კახეთის გზატკეცილიდან და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის მიერ (წერილი N16-01233062952 02/11/2023). საპროექტო არეალის მიმდებარე ტერიტორიებზე, დომინირებს საზოგადებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ფუნქციურად ძირითადად განლაგებულია

	ავტომომსახურების ცენტრები და სასაწყობე მეურნეობები.
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უძრავი ობიექტის სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით ნებადართულ სახეობაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია, თუ დასაბუთდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოება: ა) გამონაკლისი საჭიროა ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენებისთვის; ბ) არ იცვლება მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი. საპროექტო მიწის ნაკვეთის ძირითადი ნაწილი მდებარეობს გეგმარებით კარკასზე, სადაც არსებული მდგომარეობით უკვე ფუნქციონირებს ავტოგასამართი სადგური. საკვლევი არეალის ფარგლებში განთავსებულია სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის შესაბამისი ობიექტები, არსებული ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია არ გამოიწვევს ტერიტორიის ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია არსებული ავტოგასამართი სადგურის ავტოგასამართი კომპლექსის ფუნქციით რეკონსტრქუციის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა. პროექტირებისას დაცულ იქნეს ავტოგასამართი კომპლექსების მიმართ მოქმედი ტექნიკური პირობები და ნორმები/რეგლამენტი. ასევე დაცულ იქნეს სარეკრეციო ზონა 1 (რზ-1)-ის რეგლამენტი.



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01233062952**
თარიღი: **02/11/2023**

ადრესატი: ირაკლი თანდილაშვილი
პირადი ნომერი: 20001067483
მისამართი: საქართველო, თელავის მუნიციპალიტეტი, ქალაქი თელავი, 9 აპრილის ქუჩა, N 29

ბატონო ირაკლი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2023 წლის 26 ოქტომბრის № 01232992971-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2023 წლის 26 ოქტომბრის № 01232992971-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე მშენებარე თხევადი გაზით გასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.16.003.005) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/whuLvE7v13IeqqG

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 2 23 03221482

03/11/2023

მოქ: თანდილაშვილი ირაკლი
თბილისი, კახნიაშვილის ქ.10
თქვენს 2023 წლის 02 ნოემბრის განცხადებაზე

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ, ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილზე მშენებარე თხევადი გაზით გასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.16.003.005) არსებულ მიწის ნაკვეთზე საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი მუდმივი სქემის შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ს.ს.ი.პ. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის (02.11.2023 წ 16-01233062952) თანხმობას შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემას, ხოლო ტერიტორიაზე მისასვლელი გზა აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით თანდართული სქემის შესაბამისად.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში წარმოსადგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ს.ს.ი.პ. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემები (სამუშაოების წარმოების და შესასვლელ-გამოსასვლელის გზების მოწყობის).

დანართი: სქემა 1 ფაილად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით



საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

სპეციფიკაცია

2.3 - 1ც

3.1 - 3ც

4.1.4 - 1ც

4.2.3 - 1ც

5.19.1 - 4ც

5.19.2 - 4ც

5.7.1 - 1ც

8.22.3 - 1ც

- ჰორიზონტალური მონიშვნა 1.1
- ჰორიზონტალური მონიშვნა 1.3
- ჰორიზონტალური მონიშვნა 1.5
- ჰორიზონტალური მონიშვნა 1.6
- ჰორიზონტალური მონიშვნა 1.12

შშმ პირებისთვის ადაპტირებული (პანდუსი)



ქ. თბილისში, არსებული მიწის ნაკვეთისათვის ს.კ. 01.19.16.003.005 საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

შშმ პირთა პანდუსი

შემსრულებელი : "ნეო პროჯექტ ბრუკი"

ს.ნ : 406381080

ტელ: 598 33 31 32



თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 01-13-60526-23
03 / 10 / 2023

შპს „ნეოგაზი“-ს დირექტორს
ნუგზარ ნათობაიძეს

ბატონო ნუგზარ,

თქვენი მიმდინარე წლის 22 სექტემბრის №01-13-60526-23 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.16.003.005) გაზგასამართი სადგურის სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას და გენგეგმის დამოწმებას გაცნობებთ, რომ კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით აღნიშნული საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ გადის შპს „თბილისი ენერჯის“ კუთვნილი მიწისქვეშა D=90 მმ-იანი საშუალო წნევის მილსადენი (იხ. დანართი). კომპანია არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოები შემდეგი პირობის გათვალისწინებით:

- მიწისქვეშა საშუალო წნევის გაზსადენის ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე უნდა განისაზღვროს არანაკლებ **20 (ოცი)** მეტრით, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად (2.04.08-87*-გაზმომარაგება).

მოთხოვნის თანახმად გიგზავნით შპს „თბილისი ენერჯი“-ს ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

დანართი: სქემატური ნახაზი- 1 (ერთი) ფურცელი;
დამოწმებული გენგეგმა-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:700
ჩ
დ
ა
ს
D= 90 PE
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.16.003.005
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

)993 / 01-13-60526-23 / 2023-09-22



შეთანხმებულია
შპს თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY LTD
ტექნიკური დოკუმენტაცია
რეგისტრაციო № 01-13-60526-23
28 / 09 2023 წ.

კახეთის გზატკეცილი

დამკვეთი: შ.პ.ს. "ნეოგაზი"	შ.პ.ს. "აი ჰი გრუპი"	შემსრულებელი: L.T.D. "IC GROUP"	
პროექტის კვლევა	დირექტორი		დ. ინასარიძე
შ.პ.ს. "ნეოგაზი"-ს გაზგასამართი სადგური ძ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე (ს/კ 01.19.16.003.005)	მთ. არქიტექტორი		დ. ინასარიძე
საპროექტო გეგმა (ტერიტორიაზე მოქმედი ფუნქციური ზონებით)	სტადია	მასშტაბი	ფურცელი	ფორმატი
	შ.პ.	1:500	1-1	A-3

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

27/12/2023

MIA 7 23 03828754

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის-
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილება-
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(განყოფილების უფროსი)(მოვალეობის შემსრულებელი)
ქალბატონ **თამარ ჩინჩალაძეს**

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2023 წლის 25 დეკემბრის N 60-01233594250 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.16.003.005) ავტოგაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქციისათვის (N11 ჩამოსასხმელი სვეტი ჩანაცვლებული იქნა ნავთობპროდუქტების მარიგებელი დისპანსერით) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, შეესაბამება სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

წერილის ნომერი: **18-01240223753**
თარიღი: **22/01/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01240103368
წერილის თარიღი:	10/01/2024
განმცხადებელი:	ლევან ინასარიძე
განაცხადის N	AR11001294
მისამართი	ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილზე მშენებარე თხევადი გაზით გასამართი სადგურის მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.19.16.003.005
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „ნეოგაზი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა ფოტოსურათები ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ‚გ“

ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) პირველი მუხლის „ა. თ“, ,,ბ“ ქვეპუნქტები; დადგენილების 68-ე მუხლი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, 29-ე, 30-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია

ვინაიდან საპროექტო ობიექტები არ ეხება მწვანე ნარგავებს, ***სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ, ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-კენკროვანი ნარგავებისა) შენარჩუნების ვალდებულებით.***

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას.

ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის გათვალისწინებით, აღნიშნულ საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) გამწვანების არეალი. **აქედან გამომდინარე, სამსახურს საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილის სამშენებლოდ განვითარება, რომელზეც ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) გამწვანების არეალი, ასევე, მწვანე ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა, მიზანშეწონილად არ მიაჩნია.**

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული ან ხდება შენობა/ნაგებობის რეკონსტრუქცია)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები.

ტერიტორიაზე გასაშენებელ მწვანე ნარგავებს უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

ხის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი. მარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფესვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).

წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიჭვისა, მასზე ვრცელდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები), ნერგის სიმაღლე არანაკლებ 3 მ.; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფესვიანებული; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.

ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, ნერგის სიმაღლე 3.5 მ.; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,18 მ. ფესვის ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

8 ა.პოლიტკოვსკაიას ქ.
0186 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 93 27 32
tacsa@moesd.gov.ge

29 / ნოემბერი / 2023 წ.

KA020194516516323

№ **06/1240**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს, ქალბატონ თამარ ჩინჩალაძეს

ქალბატონო თამარ,

სააგენტომ კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი ა/წ 20 ნოემბრის № 2072 (№ 60-01233213278 17.11.2023 წ.) წერილი და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, № 01.19.16.003.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული ავტოგასამართი კომპლექსის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების საკითხს, რაზედაც შენიშვნა არ გაგვაჩნია.

დამატებით გაცნობებთ, რომ საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების დროს, დაცული უნდა იქნას საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებითა და სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნები. უცხოური ტექნიკური რეგულირების დოკუმენტის გამოყენების შემთხვევაში, მის მოთხოვნებთან პროექტის შესაბამისობის დადგენის მიზნით, საჭიროა წარმოდგენილი იქნას გამოყენებული დოკუმენტის ავთენტური ვარიანტი და ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.

პატივისცემით,

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური

წერილის ნომერი: **60-01233213278**
თარიღი: **17/11/2023**

ადრესატი: სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს AR11001294 განცხადებით მომართა ლევან ინასარიძემ და მოითხოვა ავტოგასამართი კომპლექსი რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში გვაცნობოთ თქვენი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით.

AR11001294 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეგიძლიათ იხილოთ https://tas.ge/?p=publicpage&documentId=1001294 ბმულზე.

გთხოვთ პასუხი გვაცნობოთ 2023 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით. დანართის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ, წერილი გამოგვიგზავნოთ ერთიანი დოკუმენტის სახით.

თამარ ჩინჩალაძე

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი